შპს ქართულ- -ამერიკული სკოლის. Georgian-American school
გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა

2024-2031 წელი

სასწავლო წელი

<u>სარჩევი:</u>

ნაწილი 1 - შესავალი

ნაწილი 2 - სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

ნაწილი 3 - სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ურთიერთმიმართება

ნაწილი 4 - სკოლის ისტორია

ნაწილი 5 - სკოლის შეფასება

ნაწილი 6 - მონაცემთა ანალიზი

ნაწილი 7 - სტრატეგიული გეგმა 2024-2031

ნაწილი 8 - მონიტორინგი და შეფასება

სასწავლო წელი

სასწავლო წელი

ნაწილი 1 . შესავალი

სტრატეგიული დაგეგმვა არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც სკოლის წევრები ცდილობენ, განსაზღვრონ თუ რა მიზნების მიღწევა სურთ და როგორ უნდა გააკეთონ ეს. დაგეგმვა იმის ზედმიწევნით მკაფიო გააზრებაა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ მაქსიმალური წარმატების მისაღწევად.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა Georgian-American school-ის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარე და შიდა ფაქტორების ანალიზს (სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას) და საფრთხეებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას.

სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა დაეფუძნება თანამედროვე სტანდარტებსა და გამოწვევებს. ორიენტირებული იქნება მიღწეული შედეგების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული იქნება სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული. დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა დაეხმარება სკოლის თითოეულ თანამშრომელს სკოლის მიზნებისა და ამოცანების გააზრებაში, არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში, გარემოს ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებასა და სიახლისთვის მზადებაში.

სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის შესაძლებლობების, ასევე, კონკურენტული გამოწვევებისა და ცვალებადი გარემოს პროგნოზირებად ანალიზს. სტრატეგიის ჩამოყალიბებით სკოლა მიზნად ისახავს, საკუთარი რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.

სასწავლო წელი

- სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ან/და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.
- გამჭვირვალობა - სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის და შემუშავებული გეგმის განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.
- ანგარიშვალდებულება - სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 3 წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 წლის გასვლის შემდეგ ახალი სტრატეგიული გეგმის შედგენამდე - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით.

<u>ნაწილი 2 .</u>

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:



სასწავლო წელი

სასწავლო წელი

ნაწილი 3

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ურთიერთმიმართება

სკოლის მისია წარმოადენს სტრატეგიული განვითარების პროცესში გამოყენებულ ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს. მისიის ჩამოყალიბების პროცესში განისაზღვრება, თუ რა მიზანს ემსახურება სკოლა და განსაზღვრავს მის მთავარ მიმართულებებს.

ხედვა არის სკოლის წარმოდგენა სასურველი, იდეალური მომავლის/განვითარების შესახებ.

ღირებულებები განსაზღვრავს სასკოლო კულტურას და შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

სკოლის მისია

„ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School“-მისიაა შექმნას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უსაფრთხო და მზრუნველი გარემო.

მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული წამახალისებელი აქტივობებით, უახლესი სასწავლო მეთოდების გამოყენებით, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების სინთეზით მოსწავლეებმა შეიძინონ ცოდნა, გამოიმუშაონ კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნებისა და სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარი.

ხედვა

სკოლის ხედვაა, შექმნას ისეთი გარემო , რომელიც უზრუნველყოფს განათლებული, განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლამ უნდა აღზარდოს მოქალაქე, რომელსაც შეეძლება გააზრებულად გააკეთოს არჩევანი, იყოს მიზანდასახული, ჰქონდეს ჩამოყალიბებული სამოქალაქო ცნობიერება, პასუხიმგებლობა ქვეყნის ინტერესებისა და ტრადიციების, ღირებულებების მიმართ. უნდა შეეძლოს მომავალში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარება, მათი მაქსიმალური რეალიზება გლობალურ სამყაროში. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერსებსა და მისწრაფებებს და, სწორედ ამის საფუძველზე, ქმნის ხელსაყრელ პირობებს მათი აკადემიური და შემოქმედებითი პოტენციალის გასავითარებლად, ამზადებს მომავალი ცხოვრებისათვის.

სასწავლო წელი

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო აკრედიტაციის ფარგლებში (Common Core და Next Generation) განათლების სტანდარტებს. პრიორიტეტს ანიჭებს კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რაც გულისხმობს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგების პროცესს, ამავე დროს გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნები. მნიშნელოვანი როლი ენიჭება სტრატეგიას - სწავლა კეთებით, სკაფოლდინგს- სვლას ნაცნობიდან უცნობისაკენ. ამ მიმართულებით გამოყენებული სტრატეგიები უზრუნველყოფს მოსწავლეთა წარმატებას, ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურად გამოყენებას, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
სკოლა მოსწავლეებს მათი ინტერესების გათვალისწინებით სთავაზობს არჩევით საგნებს საშუალო საფეხურზე. სკოლის პროფესიული ორიენტაციის მრჩეველი მომავალ სტუდენტებს ეხმარება პროფესიის შერჩევაში (მრავალფეროვანი აქტივობები, მიზანმიმართული შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წამყვან სპეციალისტებთან, სკოლის ფსიქოლოგთან, სკოლის კურსდამთავრებულებთან), რათა მათი არჩევანი რეალური იყოს და ეფუძნებოდეს კონკრეტულ მიზანს- მომავალში იქცნენ საზოგადოების ღირსეულ პროფესიონალ წევრებად. სკოლის თვითმმართველობა ზრუნავს, სასკოლო ცხოვრება გახადოს საინტერესო, განახორციელოს მოსწავლეთა იდეები და ინიციატივები. სკოლის მოსწავლეთა სამომავლო წარმატებას განაპირობებს ის შესაძლებლობები , რომლებიც საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში, ახალგაზრდულ პროექტებსა და შემოქმედებით ფესტივალებში მონაწილეობით ეძლევათ.
ქართულ-ამერიკულ სკოლა. Georgian-American School-ში იზრდებიან მორალურად და ზნეობრივად ტოლერანტი მოქალაქეები, რომელთა ინტერესები ვითარდება ცხოვრების ჯანსაღი წესის, გარემოზე ზრუნვისა და პატრიოტიზმის საფუძველზე.

სკოლის ღირებულებებია:

- ჯანსაღი ცხოვრება;
- ტოლერანტობა;
- ჰუმანიზმი;
- პატრიოტიზმი,
- გარემოს დაცვა.

ნაწილი 4.

სკოლის ისტორია

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgoiaan-American School-ის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით დაარსდა 2013 წელს. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ზოგადი განათლების შესახებ " საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სკოლა დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად. კვალიფიციური და მოტივირებული პედაგოგთა გუნდით მომავალ თაობას აძლევს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის განათლებას.

სასწავლო პროცესში იყენებს განათლების თანამედროვე ტექნოლოგიებს. სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს მოსწავლე და მისი განვითარების ხელშეწყობა. ჩვენი სკოლის მოსწავლეები არაერთ წარმატებას აღწევენ ქვეყნის შიგნით და გარეთ, საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკებით, სამედიცინო კაბინეტებით, კვების ბლოკით, საკონფერენციო კაბინეტებით, სპორტული მოედნებით.

სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და მაღალ აკადემიურ სასწავლო გარემოს, სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა სერვისს: გახანგრძლივებულ დღის რეჟიმს- არასავალდებულო წრეობრივი მომსახურების ფორმით სპორტულ, სახელოვნებო და შემეცნებით წრეებს, მაღალი ხარისხის კვებას.

ნაწილი 5.

სკოლის შეფასება

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2024-2031 წლებს . ამ ეტაპზე სკოლას დასრულებული აქვს 2018- 2024 წლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება . კერძოდ დასრულდა სკოლის ძირითადი მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნა: დაწყებითი და საბაზო/საშუალო საფეხურის შენობა ნაგებობები, საკლასო ინვენტარი, სააქტო

დარბაზები , კლასკაბინეტები, ლაბორატორიები, ბუფეტი და სხვა. მატერიალური ბაზის შექმნის პარალელურად სტრატეგიული გეგმით დადგენილი სასწავლო და სააღმზრდელო მუშაობა მიმდინარეობდა ესგ-ს სტანდარტების, “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად .

შესაძლებელია ითქვას რომ 2018-2024 წლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნები მიღწეულია . გამონაკლისს წარმოადგენს ელექტრონული ბიბლიოთეკის კონცეფციის და ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შექმნა, რაც აისახება ახალ გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში. სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა დაეფუძნება თანამედროვე სტანდარტებსა და გამოწვევებს ორიენტირებული იქნება მიღწეული შედეგების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე .

სკოლა გაითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას, დაეყრდნობა სკოლაში მიმდინარე მონაცემების სიტუაციის სვოტ ანალიზს . სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული იქნება სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული. დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა დაეხმარება სკოლის თითოეულ თანამშრომელს სკოლის მიზნებისა და ამოცანების გააზრებაში , არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში , გარემოს ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებასა და სიახლისთვის მზადებაში.

სასწავლო წელი

ნაწილი 6

მონაცემთა ანალიზი

ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.

SWOT ანალიზით განისაზღვრება ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. ძლიერი მხარეები;
2. სუსტი მხარეები;
3. შესაძლებლობები;
4. საფრთხეები;

SWOT ანალიზის დროს სისუსტეების გამოვლენა ემსახურება იმ მიზანს, რომ ისინი არსებული შესაძლებლობის ფარგლებში დაძლეულ იქნეს და ტრანსფორმირდეს სკოლის ძლიერ მხარეებად. საფრთხეების წინასწარი შეფასება კი საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს და მინიმუმამდე შეამციროს შესაძლო ზიანი.

SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სასწავლო წელი

2018-2024 წლების ანალიზების

შედეგების საფუძველზე

2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.			
N	მიმართულებები	საანგარიშო პერიოდი (წლები) 2018 – 2024	
		შეფასება	კომენტარი
1	პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება	შესრულდა/ გაგრძელდება	პედაგოგთა საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით, ხდებოდა მასწავლებლების საჭიროებების რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა/ანალიზი, ასევე კათედრების ანგარიშების გაანალიზება . აღნიშნულმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა და მიზნობრივად დაგვეგეგმა თითოეული პედაგოგის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები. კერძოდ: პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა, როგორც ძირითადი-სავალდებულო, ისე დამატებითი აქტივობები. გამოცდილების გაზიარების მიზნით ერთობლივად დაიგეგმა გაკვეთილები.

			შეიქმნა სასწავლო რესურსების ბანკი კათედრების მიხედვით. წლის დასაწყისში და პერმანენტულად ხდებოდა ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული /მეთოდური ლიტერატურით/გამოცემებით, ინტერნეტ რესურსით. სახელმძღვანელოების/რესურსების შერჩევა კათედრების საჭიროების გათვალისწინებით ხდებოდა. პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს დროისა და სასწავლო რეჟიმის გათვალისწინებით, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებსა და ტრენინგებში. სკოლა ზრუნავს პედაგოგთა აკადემიურ თავისუფლებაზე, პროფესიულ განვითარებაზე. სისტემატურად ტარდება საგნობრივი კათედრების ერთობლივი სამუშაო შეხვედრები, სადაც ხდება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილების ერთობლივად დაგეგმვა, გამოცდილების გაზიარება, იგეგმება ერთობლივი პროექტები უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის (პრაქტიკის კვლევა, სკოლის საჭიროების კვლევა) ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივ ბაზაზე ,სასწავლო წლის განმავლობაში, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრების ხელმძღვანელობით იმართებოდა შიდასასკოლო სემინარები და კონსულტაციები. პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით , შპს ქართულ ამერიკული უმაღლეს, შპს ქართულ ამერიკული.Georgian-American School-სა და ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლებს შორის დაიგეგმა და განხორციელდა ერთობლივი ღონისძიებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით ;
2.	მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება	შესრულდა/ გაგრძელდება	სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა გამოკითხვის, მათი შედეგების, ასევე კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, ხდებოდა საგნობრივი პროგრამებისა და სასწავლო გეგმების, სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დახვეწა. მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით სასწავლო პროცესში მოიმატა სახალისო აქტივობებმა. აკადემიურ ნაწილთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა არაფორმალურ განათლებას. მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, წლის განმავლობაში ჩატარდა პროექტ გაკვეთილები, ლექცია სემინარები სკოლის

			სამედიცინო სამსახურის- ექიმ-პედიატრის მიერ, ასევე ანტინიკოტინური, ანტიალკოჰოლური, ანტინარკოტიკული ღონისძიებები მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით. მოსწავლეებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა შიდა სასკოლო და რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში ,ასევე შემოქმედებით და საქველმოქმედო ღონისძიებებში . წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სკოლის მიერ დაწესებული სასწავლო გრანტებით. გაიმართა მოსწავლეთა შემოქმედების, სახელობო ნამუშევრების გამოფენები, ჩატარდა ღია კარის დღე, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც დაესწრნენ მშობლები და მოწვეული სტუმრები. მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების კვლევა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა. სკოლის ბიბლიოთეკარის და დამრიგებლების სამოქმედო გეგმებში გაიწერა ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშემწყობი აქტივობები. მოსწავლეებში ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტოლერანტობის, გარემოს დაცვის საკითხებისა და პრინციპების განმტკიცების მიზნით ჩატარდა პროექტ გაკვეთილები, ღონისძიებები (იხ. კათედრის ანგარიშები და სკოლის ვებგვერდი) სადამრიგებლო საათის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნითა და სკოლის მისიით გათვალისწინებული ღირებულებების განმტკიცებას.
3.	მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია	შესრულდა/ გაგრძელდება	2015 წლიდან დაიწყო და გრძელდება სკოლის თვითშეფასების ციკლის დანერგვა. სკოლა მუდმივად არის ჩართული ახალი მიდგომებისა და იდეების ძიებისა და დანერგვის პროცესში. პერიოდული თვითშეფასება, ცვლილებები და ინოვაციები კი მნიშვნელოვანია სკოლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. გაგრძელდება სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას. მოსწავლეთა მშობლების ყოველდღიური , როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებებით ინფორმირებისათვის, სასწავლო პროცესის მეტი გამჭირვალეობისათვის, 2014 წლიდან სკოლა იყენებს და კვლავ აგრძელებს სკოლის ელექტრონული ჟურნალის School book-ის წარმოებას.

			სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებისათვის სისტემატიურად ახლდება ინფორმაცია სკოლის ორენოვან ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში -FACEBOOK-ზე, სკოლის საქმიანობა ეტაპობრივად შუქდება სატელევიზიო არხებით და საგანმანათლებლო გვერდებით. აღნიშნული ემსახურება სკოლის ცნობადობის გაზრდას.
4.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა	შესრულდა/ გაგრძელდება	სკოლას დაემატა ახალი საბაზო-საშუალო საფეხურის კამპუსი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით. სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და განვითარების მიზნით, ეტაპობრივად ხდება სკოლის ინვენტარის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენა. განახლდა ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკას დაემატა ახალი სახელმძღვანელოები, დაიწყო ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის დანერგვა, განახლდა საგნობრივი მიმართულებით თვალსაჩინოებები, განახლდა სასკოლო სასადილოს ინვენტარი, სკოლამ დამატებით შეიძინა პროექტორები და პერსონალური კომპიუტერები. თითოეული საკლასო ოთახი აღიჭურვა პროექტორებითა და კომპიუტერებით. სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებისთვის, სკოლამ შეიძინა რამდენიმე ჭკვიანი დაფა. საბაზო /საშუალო საფეხურზე დაემატა მეორე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია. სამედიცინო კაბინეტი დამატებით აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. სკოლას მოძიებული ჰყავს სატრანსპორტო კომპანია, რომელიც მშობელთა სურვილის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. გარდა ამისა, სკოლა თავად უზრუნველყოფს ჩოგბურთის კორტებზე მოსწავლეების გადაყვანას. სკოლას კვლავ სამომავლო გეგმაში განსახორციელებლად რჩება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

ნაწილი 7.

სტრატეგიული გეგმა 2024-2031

იმისათვის, რომ სკოლამ უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს მომსახურების ხარისხი, მომხმარებელთა კმაყოფილების დონე და საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა , შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში, დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სტრატეგიული მიმართულება I- სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლება;
- სტრატეგიული მიმართულება II- საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა;
- სტრატეგიული მიმართულება III- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება;
- სტრატეგიული მიმართულება IV- სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება;
- სტრატეგიული მიმართულება V- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;

სტრატეგიული მიმართულება I	**სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლება**				
მიზანი	განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა			გასათვალისწინებელია სკოლის მისია, სპეციფიკა, ესგ-თან თავსებადობა	
ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
				სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო

სასწავლო წელი

1	სასწავლო გეგმის მონიტორინგი და შეფასება	სკოლას შემუშავებული და დანერგილი აქვს კურიკულუმის ყოველწლიური შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა; კურიკულუმის განვითარება ხდება შეფასების შედეგების მიხედვით.	შეფასების შედეგები	2024-2031		
2	მოსწავლეთა/ კურსდამთავრებულთა მიღწევების კვლევა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა	სკოლას შემუშავებული და დანერგილი აქვს მოსწავლეთა/ კურსდამთავრებულთა მიღწევების ანალიზი/ მონაცემთა ბაზა. მონაცემები გამოიყენება სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის.	მიღწევების ანალიზი/ მონაცემთა ბაზა.	2025-2028		
3	მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე საგნობრივი პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შემუშავება/დახვეწა	სკოლას შემუშავებული და დანერგილი აქვს სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევას. კვლევის შედეგები ინტერვენციების სახით აისახება საგნობრივ პროგრამებსა და სასწავლო გეგმებში.	კვლევის მასალები;	2024-2031		
4	მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება და მათი მიღწევების გაუმჯობესება	სკოლას შემუშავებული და დანერგილი აქვს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგია, ეფექტური ინსტრუმენტები, მიზანთან შესაბამისი ფორმალური და არაფორმალური აქტივობები.	კათედრის ანგარიშები; ჩატარებულ აქტივობაზე მასწავლებლის რეფლექსია; მოსწავლეთა კვლევის/მიღწევების შედეგები;	2024-2031		

5	STEM -ის საგნებში თანამედროვე ვირტუალური და ნახევრად ვირტუალური ლაბორატორიები ს გამოყენება.	სკოლა უზრუნველყოფს: • მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას და გამოყენებას; • ტექნოლოგიებით გამდიდრებულ სასწავლო გარემოს; • მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას შემენილი და დანერგილი აქვს STEM -ის საგნებში ვირტუალური ლაბორატორიები.	ლაბორატორიის შემენის მტკიცებულება; კათედრის ანგარიშები; გაკვეთილის რეფლექსია; მოსწავლეთა კვლევის შედეგები; სკოლის ბიუჯეტი.	2024		
6	მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის, ტოლერანტობის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, გარემოს დაცვის პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა.	სკოლა სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შემეცნებით-გასართობი შეჯიბრების/აქტივობების მეშვეობით უზრუნველყოფს, მოზარდ თაობაში სპორტისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მოზარდი თაობის ცნობიერებაში ტოლერანტული, ჰუმანური,პატრიოტული, გარემოსდაცვითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.	კათედრის სამოქმედო გეგმები/ანგარიშები; დამრიგებლის სამოქმედო გეგმები/ანგარიშები; თვითმმართველობის სამოქმედო გეგმები/ანგარიშები; სკოლის სოციალური ქსელი და ვებ-გვერდი	2024-2031		

7	მშობელთა კომპეტენციების გაძლიერება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მშობლებთან მიზნობრივი კომუნიკაციის სტრატეგია და მექანიზმები, მათ შორის, უკუკავშირის მიღებისა და შეფასებისათვის.	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები	2025-2028		

სტრატეგიული მიმართულება II		**საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა**				
მიზანი		საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარება/დანერგვა			გასათვალისწინებელია სკოლის მისია, სპეციფიკა, ესგ-თან თავსებადობა	
ამოცანა		შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
					სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია	სასკოლო კურიკულუმი და სწავლის შედეგები დაახლოებულია და ითვალისწინებს საერთაშორისოდ აღიარებული სასწავლო გეგმების მოთხოვნებს.	1. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ორიენტირებულია მოსწავლეთა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. 2. სკოლამ/სასკოლო კურიკულუმმა მოიპოვა საერთაშორისო აკრედიტაცია (Cognia)	2024-2026		

		სასკოლო კურიკულუმში ინტეგრირებულია ამერიკული პროგრამა				
2	სკოლის მოსწავლეების მონაწილეობის გაზრდა ქვეყნის შიდა და ქვეყნის გარეთ კონფერენციებში ,ოლიმპიადებში, შემოქმედებით და გაცვლით პროგრამებში/ ღონისძიებებში.	სკოლას აქვს ოფიციალური წარმომადგენლობა საერთაშორისო ღონისძიებებზე (კონფერენცია,ოლიმპიადა,გამოფენა); ზრდადია სკოლის მოსწავლეების შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობის მაჩვენებელი, როგორც ქვეყნის შიდა , ისე ქვეყნის გარეთ კონფერენციებსა ,ოლიმპიადებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.	ოფიციალური წარმომადგენლობის/ მიწვევის მტკიცებულება; მონაწილეობის მსურველთა შერჩევის კრიტერიუმები; გასვლითი ღონისძიებების მრავალფეროვნება; მონაწილე მოსწავლეების სტატისტიკა; მიღწეული შედეგების არქივი.	2025-2029		
3.	საერთაშორისო აკრედიტაციის მეორე ეტაპისთვის მზაობა	სკოლის მიერ Cognia-ს სტანდარტების შესრულება ორგანიზებულია ძირითადი მახასიათებლებით, ორიენტირებულია კულტურაზე, ლიდერობაზე, ჩართულობასა და ზრდაზე.	ჩატარებული კვლევების შედეგები; სკოლის ყოველწლიური თვითშეფასება; სკოლის რეაკრედიტაცია;	2027		

სტრატეგიული მიმართულება III	**სკოლის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება**

სასწავლო წელი

მიზანი		ადამიანური რესურსის განვითარება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განსახორციელებლად			გასათვალისწინებელი ა სკოლის მისია, სპეციფიკა,	
ამოცანა		შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელებ ის ვადები	დაფინანსების წყაროები	
					სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	პერსონალის საჭიროებების დადგენა	პერსონალის შეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასების წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს და პროცედურას	ამოქმედებული სისტემა;	2025-2029		
2	მასწავლებელთა პედაგოგიური და საგნობრივი უნარების განვითარება	მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესება აისახა მოსწავლეთა სწავლის შედეგებში - მაღალი და საშუალო მოსწრების მოსწავლეთა წილი 80% და მეტია.	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, სასწავლო პროცესის და სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი	2024-2029		
3	სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა .	ხარისხის მართვის ჯგუფის ინიციატივით მზარდია მიზნობრივ პროგრამებში, პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილე თანამშრომელთა რიცხვი.	ხარისხის მართვის ჯგუფის ანგარიშები; პროფესიული განვითარების გეგმა; სკოლის ბიუჯეტი.	2024-2031		
4	მასწავლებელთა კომპეტენციების გაძლიერება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის	მასწავლებლის შეფასებაზე დაყრდნობით, სკოლა არსებული რესურსებით იზრუნებს პედაგოგთა კორპუსის განვითარებაზე; პერიოდულად მიმდინარეობს ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული /მეთოდური	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები; მეთოდური რესურსები;	2024-2031		

სასწავლო წელი

	ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	ლიტერატურით/გამოცემებით, ინტერნეტ რესურსით/წყაროთი უზრუნველყოფა.				
5	პერსონალის ციფრული უნარების განვითარება	დაწესებულების პერსონალი სრულყოფილად და ეფექტურად იყენებს დაწესებულებაში არსებულ ციფრულ ტექნოლოგიებს	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, ციფრული უნარების შეფასების შედეგები	2024-2025		
6	კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (პრაქტიკის კვლევა, სკოლის საჭიროების კვლევა)	სკოლაში ყველა კათედრაზე განხორციელებულია მინიმუმ ერთი (პრაქტიკის, სკოლის საჭიროების) კვლევა.	კვლევის ანგარიშები;	2024-2025		
7	პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარების ხელშეწყობა;	საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (სკოლებთან, უნივერსიტეტ(ებ)თან/სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან) ოფიციალურად დამყარებულია თანამშრომლობითი ურთიერთობები;	გაფორმებული მემორანდუმები; მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასების შედეგები.	2024-2028		

სტრატეგიული მიმართულება IV	**სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება**			
მიზანი	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება საქართველოს განათლების სისტემისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;			გასათვალისწინებელია სკოლის მისია, სპეციფიკა,
ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო		დაფინანსების წყაროები

სასწავლო წელი

				განხორციელების ვადები	სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ორიენტირებულია სკოლის განვითარებასა და ეფექტურ მუშაობაზე; სკოლის ინვენტარი აღწერილია, შეფასებულია მატერიალური რესურსის შესაბამისობა ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებით;	მატერიალური ბაზის შესაბამისობის კვლევის დოკუმენტი; ინვენტარიზაციის აქტი; სკოლის ბიუჯეტი.	2024-2026		
2	სკოლის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვა	სკოლა აღჭურვილია საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით; სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.	სკოლის არსებული და საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლის ბალანსი; სკოლის ტრანსპორტით სარგებლობის წესი;	2028-2029		
3	საგანმანათლებლო/ სასწავლო რესურსების განახლება/შევსება	სკოლა აღჭურვილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით	რესურსების შეძენის დოკუმენტაცია	2024-2031		
4	ბიბლიოთეკის კონცეფციის განვითარება და წიგნადი ფონდის	სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური და ელექტრონული ბიბლიოთეკით.	სკოლის არსებული და საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლის ბალანსი;	2024-2031		

	სისტემატური განახლება.	ბიბლიოთეკა განახლებადია და პასუხობს თანამედროვე გამოწვევებსა და მოთხოვნებს.				

სტრატეგიული მიმართულება V		**უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა**				
მიზანი		უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება			გასათვალისწინებელია სკოლის მისია, სპეციფიკა	
ამოცანა		შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
					სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა	ყოველწლიური თვითშეფასება იძლევა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისა და სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების შესაძლებლობას.	სკოლის თვითშეფასება; კვლევის შედეგები;	2024-2031		
2.	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა	სკოლაში უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, განხორციელებულია პრევენციული ღონისძიებები, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მშვიდ, ორგანიზებულ და დისციპლინირებულ გარემოში	ვიდეო კამერების ჩანაწერები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ანგარიშები საგანგებო შტაბის დოკუმენტაცია, უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები	2024-2031		
3	უსაფრთხოების სამსახურის ეფექტურად	სკოლაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები	უსაფრთხოების სამსახურის დებულება;	2024-2031		

	ფუნქციონირების ხელშეწყობა		უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; სასკოლო საზოგადოების კვლევის შედეგები;			

ნაწილი 8

შესრულების მონიტორინგი

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების ნდობას. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.

სტარტეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ქვემოთ მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.

სასწავლო წელი

სტრატეგიული გეგმის ანგარიში, განიხილება სამუშაო ჯგუფის სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და ცვლილების შეტანა.

P.S. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების განხორციელება გარდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებისა და რეკომენდაციებისა, შესაძლებელია დირექტორის ინიცირებით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.